საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დანინა

დანინა, დ ა ნ ა ნ ა, დ ა ნ ა, ქართული წარმართული პანთეონის ღვთაება, რ-ის კერპთმსახურება ლეონტი მროველის მიხედვით მეფე საურმაგმა, ხოლო "მოქცევაჲ ქართლისაჲს" თანახმად, მეფე მირიანმა შემოიღო.

აინინას მსგავსად, მისი კერპიც აღუმართავთ „გზასა ზედა მცხეთისასა". ქართ. საისტ. წყაროებში დ-ს სქესისა თუ საკულტო ფუნქციის შესახებ რაიმე მინიშნება არ შემონახულა. ამ სამეფო კერპის შემოღების მიზეზების და ქართლის მთავარ ღვთაებებთან (არმაზთან, ზადენთან) დამოკიდებულების გარკვევა არ ხერხდება. შესაძლოა, იგი ქართვ. ტომთა უძველეს ღვთაებებს განეკუთვნებოდა. თუმცა მისი კავშირი არც არაქართ. სამყაროსთანაა გამორიცხული.

სახელწ. „დ". მსგავსებას ავლენს მცირეაზიულ ტომობრივ და გეოგრ. სახელწოდებებთან: „დანუნა" (dan), „ადანა" (adn), „დანაი" (dny), მაგრამ დ-ს დაკავშირება მათთან არ ხერხდება (ნ. მარის აზრით, „დანანა" განსახილველია როგორც კავშირი „და", შეზრდილი არაირანული ღვთაების „ნანას" სახელთან, რაც ივ. ჯავახიშვილს სარწმუნოდ არ მიაჩნდა.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., *თხზ.* თორმეტ ტომად, ტ. 1, თბ., 1979.

გ. გიორგაძე